ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

21 მარტი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 51 (10 464) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არსებით, საქმით, სულით, პარლამენტთან ვართ“

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა საკრებულოს განცხადება

ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს უფრო ხშირად უჭირდა, ვიდრე ულხინდა. ქართველ ერს ცალ ხელში სახნისი ეჭირა, მეორეში — მახვილი, რათა მის ძე-ბადიშს სარჩო-საბადებელი არ მოჰკლებოდა, ქვეყანას — დოვლათი, მომხვდურს კი მახვილით წინ აღდგომოდა. მომხვდური და მადლიანი ქართული მიწის დაპატრონების მსურველი კი არასოდეს მოჰკლებია საქართველოს. რამდენი დარბევის, ფიზიკური თუ სულიერი განადგურების საფრთხისთვის გაუძლია და აქამდე მოსულა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მოუტანია ქართული გენი — მუხლის სიმაგრე, სულის სიმტკიცე, ჭირთაამენის ღონე, მადლის უშურველად გაცემის ნიჭი, — სამწუხაროდ, ზოგჯერ უპასუხოდ დარჩენილი უმადურ კაცთა წყალობით.

და აი, დღეს, როდესაც, როგორც იქნა, ვეღირსეთ ნანატრი თავისუფლების იმედის გამოკრთომას, იმპერიათა შორის უვერაგესი — საბჭოთა იმპერია მეთოდურად, გაუგონარი სისასტიკით, ზურგში მახვილის ჩაცემის მოღალატური ხერხით ცდილობს რკინის ბარწუხებით მოაშთოს ახლად ნაბარტყი იმედი.

დღეს საქართველოს ერის ნებით არჩეული კანონიერი პარლამენტი ჰყავს, რომელიც ამ ძნელბედობის ჟამს საჭიროებს თითოეული ქართველის და საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლის თანადგომასა და მხარდაჭერას.

ჩვენ, საქართველოს ვეტერანი მორაგბეები მთელი არსებით, საქმით, სულით ამ პარლამენტთან ვართ და ყოველ ქართველსა და არა ქართველს, ქართული მიწის მადლით ნასაზრდოებთ, ქართული ცის ქვეშ შემყუდროებულთ მოვუწოდებთ ერთსულოვნებისკენ, 31 მარტის რეფერენდუმში, რომელმაც საქართველოს სასიცოცხლო პრობლემა უნდა გადაწყვიტოს, გამოხატოს ხალხის ნება, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“.

და თუ ყოველ ერს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც ის იმსახურებს, 31 მარტს ქართველებმა და საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის შვილმა უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ მმართველობის დემოკრატიული ფორმისა, ღირსნი ვართ თავისუფალი საქართველოს ხილვისა.

ი. კიზირია, ნ. ენდელაძე, გ. მრელაშვილი, ნ. ქაჯაია, დ. თაქთაქიშვილი, შ. ქურციკიძე, თ. ქურციკიძე, თ. აიწურაძე, გ. ჯაფარიძე, ნ. მგელაძე, დ. კილასონია, რ. ენუქიძე, ი. ოთვიძე, მ. ვაზაგაშვილი, თ. ლომიძე, გ. ლადუა, ს. რამიშვილი, მ. ნიყარაძე, რ. ღვინიაშვილი, გ. სუთიაშვილი, ვ. ბერეკაშვილი, გ. ავლასტიმოვი, გ. მოდებაძე, ლ. ჯობაძე, მ. აბდუშელიშვილი, ლ. გვენეტაძე, გ. აბაშიძე, ს. კეშელავა, ი. ნაცვლიშვილი, მ. ულენტი, ი. დოლიძე, შ. კოდუა, ზ. ხარშილაძე, ვ. ფეტვიაშვილი, პ. საფაროვი, დ. ცხვედიანი, ა. ლობუანიძე, გ. უუფარაძე, გ. ჯალადონია, გ. ურუშაძე, დ. ციცაძე, ა. ცერცვაძე, ე. ფირცხალაიშვილი, ლ. ქავთარაძე, თ. ჯაფარიძე.

საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის

ბიჭები სარბიელზე იმარჯვებენ, ბიუროკრატებთან — ვერა



გივი სისაური



ზაზა ზოზიროვი

ქართული ჭიდაობის სკოლის აღმავლობაზე ბოლო დროს ბევრი იწერება და არც თუ უსაფუძვლოდ. ეშვიათია ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა თავი რომ არ გამოიჩინონ.

ახლახან კრასნოდარი მასპინძლობდა ახალგაზრდების (1971-1972 წლებში დაბადებულთა) საკავშირო პირველობას თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა. ასაკის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გივი სისაურმა (57 კგ. „მართვე“, მწვრთნელები ივანე ნიკოლაძე და ნოდარ ხალიევი) უკვე დაამახსოვრა თავი ჭიდაობის მოყვარულებს. ვინც თვალს ადევნებდა თბილისის 30-ე საერთაშორისო ტურნირს, დაგვეთანხმება, რომ გივი მართლაც გამოირჩეოდა ლაღი ჭიდაობით. რომ არა ტრავმა, უდავოდ პირველი ადგილისთვის იბრძოლებდა, მაგრამ მაშინ მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

საკავშირო პირველობაზე გივი სისაურმა ჩინებულად იჭიდავა, 8 ორთაბრძოლიდან ექვსში წმინდად გაიმარჯვა. ფინალში მისი მეტოქე ლენინგრადელი ს. რახმატოვი იყო. „დებიუტში“ სისაური აგებდა შეხვედრას ანგარიშით 2:7, მაგრამ მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გაიმარჯვა ჯიდეკ.

გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი ზაზა ზოზიროვი (68 კგ, „შევარდენი“, მწვრთნელები ნუგზარ სხიერელი და ირბეგ ჯიოშვილი) უკვე საკმაოდ ტიტულოვანი მოჭიდავეა — მსოფლიოს და ევროპის პირველობებში გამარჯვებული... ზაზამაც 8 შეხვედრა ჩაატარა და ექვსში წმინდად გაიმარჯვა. მისი ძირითადი მეტოქე ქვეჯგუფში გახლდათ რსფსრ-ის გუნდის წევრი რ. ატაულინი. მათი ორთაბრძოლა, მსაჯების დიდი მონდომების მიუხედავად, ზ. ზოზიროვის გამარჯვებით დამთავრდა. ფინალში ზაზამ დაძაბულ შეხვედრაში დაამარცხა. ლატვიელი რ. კიფი.

თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტმა კახა ჯაბიძემ (82 კგ, „მართვე“, მწვრთნელები ვახტანგ გუმბერიძე და თამაზ ბენდიანიშვილი) კარგად დაიწყო შეჯიბრება. 7 შეხვედრიდან ხუთი ვადაზე ადრე დაამთავრა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფინალურ შეხვედრამდე ზედიზედ სამი ორთაბრძოლის ჩატარება მოუხდა, ფინალისთვის ძალები ვეღარ შემოინახა და მოსკოველ ა. ტროფიმოვთან დამარცხდა.

ასევე მეორე ადგილი დაიკავა სოხუმელმა გელა უბილავამ (100 კგ, „შევარდენი“, მწვრთნელები არმაზ შენგელია და მალხაზ მემარნიშვილი). მან წინასწარ შეხვედრებში კარგად იჭიდავა, მაგრამ ფინალში კიეველ ო. ვლადიკთან შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზა და დამარცხდა.

მესამე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ავთანდილ მგელაძემ (90 კგ, „შევარდენი“, მწვრთნელები თამაზ ბაბუხადია და მალხაზ მემარნიშვილი), რომელმაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში აშკარა უპირატესობით სძლია უკრაინელ ო. პეტრენკოს.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელზეც ბევრჯერ გაგვიმახვილებია ყურადღება, თუმცა... კერძოდ, გორელ მოჭიდავეთა მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, გორელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები არ გააჩნიათ. ორი წელია, დარბაზის პროექტი აქვთ, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ეტყობა ბიუროკრატებთან ჭიდაობა უფრო ძნელია.



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

ბუშინ გაიმართა რესპუბლიკის მეორე საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები:

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0

„ხანავარდი“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი) 1:3

„მზიური“ (გალი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 0:0

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:0

„ოვერია“ (ხაშური) — „ცხუმი“ (სოხუმი) 0:2

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 4:1

„ხულორი“ (ვანი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:1

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „გორდა“ (რუსთავი) 2:0

[illegible] ტურის ორი მატჩი „[illegible]“ — „გურია“ და „ამირანი“ — [illegible]-1913“ დღეს, 21 მარტ[illegible] გაიმართება.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

...თავიც დაგვამახსოვრა

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 99:89 (53:55).

თბილისი. მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 19 მარტი.

„დინამო“: უსტიაშვილი (4), ვაშაკიძე (16), სანაძე (19), თორთლაძე (5), შენგელია (12), ფერიაშვილი (19), ბაკრაძე, დაუშვილი (22), ცხვედიანი (2).

რტი: იაკუბენკო (12), ოლბრეხტი (9), ხვეტნიკი, კრიშჩიკი, კლემეზი (13), სინელნიკოვი (9), ბოჩკოვი (15), გრიშჩუკი (18), დაინეკო (13).

მსაჯები: პ. ანტონოვი (ნარვა), გ. ლუკიანენკო (ეისკი).

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი, როგორც კალათბურთის მოყვარულებმა იციან, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი სტაბილური კოლექტივი გახლდათ წლების მანძილზე. ამ სეზონში გუნდში თაობათა ცვლა მოხდა და მხოლოდ გრიშჩუკი დარჩა შარშანდელი შემადგენლობიდან. რტი წლეულს „ბ“ ჯგუფის უძლიერეს კოლექტივად ითვლება და არცთუ უსაფუძვლოდ — ამ შეხვედრამდე მინსკელებს არც ერთხელ არ წაუგიათ.

თბილისელთათვის მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შეხვედრის პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ ბრძოლა მძიმე, დაძაბული იქნებოდა. თავდაპირველად ქართველი კალათბურთელები დაწინაურდნენ, მაგრამ სტუმრებმა მალე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლა. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ერთგვარ ინიციატივას მაინც სტუმრები ფლობდნენ. ამასთან, თბილისელთა გამოცდილმა დავით უსტიაშვილმა პირველ ნახევარში ოთხი პერსონალური შენიშვნა მიიღო და მწვრთნელებმა იგი, ბუნებრივია შეცვალეს. ტაიმის ბოლოს „დინამომ“ გააქტიურა თამაში, მაგრამ პირველი ნახევარი მაინც დათმო 53:55.

შესვენებების შემდეგაც უპირატესობა ხან ერთი გუნდის ხელთ იყო, ხან მეორის. ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის მე-10 წუთამდე. ამ დროიდან მოყოლებული კი თბილისელთა უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა, არადა, თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კახა შენგელიამ მეხუთე პერსონალური შეცდომის გამო დატოვა მოედანი. მის ადგილზე ალექსანდრე ფერიაშვილმა და დავით დაუშვილმა გადაინაცვლეს. ამ დუეტმა დარჩენილ დროში საუცხოოდ ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის საბოლოო გამარჯვებაში. 99:89 — ასეთი ანგარიშით დაამთავრა „დინამომ“ ეს ბრძოლა.

თქმა არ უნდა, ყველა გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ უფრო სასიამოვნოა ის, რომ ჩვენმ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ დაამარცხა ძლიერი მეტოქე, როგორც იტყვიან, კოლექტივმა კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა და თავიც დაგვამახსოვრა.

მომდევნო შეხვედრებს თბილისის „დინამო“ სტუმრად გამართავს — 23 მარტს ნერიუნგრის „შახტიორთან“ და 26 მარტს — ირკუტსკის „სტროიტელთან“.

გია ბურდული

• • •

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა სტუმრად ითამაშა სიმფეროპოლის „უნივერსიტეტთან“ და დნეპროპეტროვსკის „სტალთან“.

სიმფეროპოლში ჩვენს გუნდს 4 მოთამაშით მოუხდა შეხვედრის დამთავრება და სწორედ ბოლო წუთებზე დამარცხდა 66:70 (31:33). დნეპროპეტროვსკში კი ჩვენმა გოგოებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და მეტად საჭირო გამარჯვებაც მოიპოვეს — 69:57 (32:33).

საკავშირო ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრებს ქართველი კალათბურთელები შინ გამართავენ: დღეს, 21 მარტს, უმასპინძლებენ როსტოვის „კრასნი აკსაის“, ხოლო 23 მარტს — **დონეცკის** „მედინს“.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მოულოდნელობებით სავსე ხუთჭიდი

როცა ამბობენ, სპორტში ყოველგვარი პროგნოზი საეჭვოაო, ცხადია, თანამედროვე ხუთჭიდსაც გულისხმობენ, რადგან ამ სახეობაში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მოსკოვის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრ „პლანერნაიაში“ დაწყებული ქვეყნის გუნდური პირველობაა, რომელშიც 12 კოლექტივი ჩაება. ასპარეზობა დაიწყო ფარიკაობით, სადაც უძლიერესი „დინამო-2“-ის წარმომადგენლები იყვნენ ალექსანდრ პოდუბნის (ყირგიზეთი) მეთაურობით, რომელმაც ამ დღეს გაიმარჯვა 1136 ქულით. საცურაო ბილიკებზე კი ყველას „დინამო-3“-მა აჯობა.

ორი დღის შემდეგ დაწინაურდა არმიელთა პირველი გუნდი, რომლის ღირსებას იცავს სსრ კავშირის წლევანდელი ზამთრის პირველობის გამარჯვებული, თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. მასთან ერთად გუნდში არიან გ. იუფეროვი, ე. გერასიმოვიჩი და ლ. ვიტოსლავსკი.

პირად პირველობაში დაწინაურდა ბელორუსიელი ანდრეი ბორისენკო (2280 ქულა).

სროლის შემდეგ (აქ უძლიერესი იყო „დინამო-3“) სატურნირო ვითარება შეიცვალა: პირველობა ხელთ იგდო ამავე საზოგადოების პირველმა გუნდმა (9960 ქულა), რომლის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური ჩემპიონი ა. სტაროსტინი, ე. ზენოვკა, ა. მაკეევი და ი. პანინი. მეორე ადგილზე მყოფ არმიელთა პირველ გუნდს 9822 ქულა აქვს.

ასპარეზობა გუშინ დამთავრდა.



ეკას ხუთი დიპლომი

ბელგია, გერმანია და აი, ახლა ჩეხოსლოვაკია — ასეთია 11 წლის მხატვრული ტანმოვარჯიშის, თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლის, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენლის ეკა აბრამიას (მწვრთნელი ნელი სალაძე) საზღვარგარეთული „მარშრუტები“. პირველი ორი გამოსვლა ნიჭიერი სპორტსმენისათვის, ასე ვთქვათ, დიდ სპორტში ნათლობა იყო, ამასთან, წარმატებული.

ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე ეკამ განსაკუთრებით კარგად იასპარეზა. ტრადიციულმა საგაზაფხულო ტურნირმა, რომელიც ქალაქ ნუმბურგში გაიმართა, თავი მოუყარა საუკეთესო ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ბელგიიდან, ფინეთიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. 11-14 წლის მოასპარეზეთა შორის იყო ეკა აბრამიაც. სამდღიანი მეტად საინტერესო და დაძაბული ბრძოლის შემდეგ ქართველი სპორტსმენი მრავალჭიდში საპატიო მეორე ადგილზე გავიდა. ფინალურ ასპარეზობაში ეკამ ორი პირველი ადგილი დაიკავა — რგოლითა და ბურთით ვარჯიშში, ხოლო გურზებითა და ლენტით შეჯიბრებაში მეორე იყო. ამრიგად, ნიჭიერი ტანმოვარჯიშე თბილისში ხუთი დიპლომით დაგვიბრუნდა.

ამ დღეებში ეკა აბრამია თანაგუნდელებთან ერთად საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ბელგიის ქალაქ ლიუვენ-ლა-ნევში.

M დასრულდა და... გადაიდო

საქართველოს პირველი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის I ტურში 30 მონაწილეს შორის 5,5 ქულით I ადგილზე გავდა ქუთაისელი ხვიჩა სუპატაშვილი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ რევაზ კაკაბაძე, ფილიპე პირაევი (ორივე — თბილისი) და იოსებ კვირიაშვილი (გურჯაანი). 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს აკაკი შალამბერიძემ, გიზო ჭურღულიამ, დავით ტიკურიშვილმა (სამივე — თბილისი), შოთა კუჭუხიძემ, ალექსანდრე ყაშაშვილმა (ორივე — ქუთაისი) და რომან სიჰინავამ (სენაკი).

ტურნირის 8 საუკეთესო მოჭადრაკე ითამაშებს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, რომელიც თბილისში გაიმართება, რადგან ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიამ მონაწილეთა ერთი ნაწილის მიერ სპორტული რეჟიმის სისტემატიური დარღვევის გამო, შეუძლებლად მიიჩნია მეორე ეტაპის გამართვა ისევ წყალტუბოში.

ჯემალ ბერაძე,
სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ვისაც როგორ ძალუძს...

მკლავჭიდა ისე მალე დაიპყრო სპორტის გულშემატკივართა გულები, რომ რესპუბლიკური შეჯიბრებების მოლოდინში ამ, ახალი სპორტის სახეობით გატაცებულნი, ვისაც როგორ ძალუძს, ისე იოკებს „მკლავთა ჭიდილის“ ჟინს.

ქალაქებზე რომ აღარა ვთქვათ, რა, მკლავჭიდი „მოედო“ რაიონებსა და სოფლებს, ვისაც საკუთარი მარჯვენის იმედი აქვს, ყველა შემოუსხდება მაგიდას, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივს, „არასპორტულს“, მაგრამ ყველა სასიკეთო საქმეს ხომ სწორედ ენთუზიაზმი ამკვიდრებს: სადაც კი საამისო ელემენტარული პირობებია, ყველგან შეხვდებით ერთმანეთს გადაჭდობილ, დაძაგრულ მარჯვენას.

თბილისის მე-18 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებმაც შეიყვარეს მკლავჭიდი. დასტური? აი, სურათიც.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტურნირები და შედეგები

● **შეხვედრა.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ განმეორებითი შეხვედრა მოუგო საფრანგეთის „მონპელიეს“ — 2:0 და ორი მატჩის შედეგით ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა (პირველი ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1). გოლები გაიტანეს: ბლეკმორმა (45-ე წუთი) და ბრიუსმა (49-ე წუთი, პენალტით).

● **ტაკვის სროლა.** მსოფლიო თასის შეჯიბრება სპორტული პისტოლეტით სროლაში მარინა ლოგვინენკომ მოიგო — 687 ქულა. ოლიმპიური ჩემპიონი, იუგოსლავიელი იასნა სეკარიჩი მეორე ადგილზე გავიდა — 683 ქულა. ტურნირში, რომელსაც აშშ-ის ქალაქი ჩინო მასპინძლობდა, მონაწილეობა მიიღო 50 ქვეყნის 450-ამ მსროლელმა.

● **ჩოგბურთი.** აშშ-ის ქალაქ კი-ბისკეინში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოდის ლარისა სავჩენკო — ნატალია ზვერევას დუეტი. მეორე წრეში მან მონიკა სელეშ (იუგოსლავია) — სტეფანო რის (აშშ) ინტერნაციონალური წყვილი დაამარცხა 7:5, 6:4. ელენა ბრიუხოვეცისა და ნატალია მედვედიევას დუეტი კი გამოეთიშა ასპარეზობას. ერთეულთა თანრიგში პირველი ნახევარფინალისტები გახდნენ შტეფი გრაფი, რომელმაც ადვილად მოუგო (6:1, 6:3) შვეიცარიელ მანუელა მალეევა-ფრანიერს და გაბრიელა საბატინი — დაამარცხა ამერიკელი ზინა პარისონი — 6:3, 6:2.

● **ცხენოსნობა.** ჰოლანდიელი ად აარტსი, რომელმაც შარშან სტოკჰოლმში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ეტლების ასპარეზობაში, დაბრუნებს ოქროს მედალს, ვინაიდან მისმა ცხენმა „ვერ ჩაბარა გამოცდა“ დოპინგზე. მხედარი დაბრუნებს აგრეთვე 7.500 დოლარს, რომელიც პრიზის სახით ჰქონდა მიღებული.

● **მძლეოსნობა.** პორტუგალიაში ხაკმაოდ პოპულარული „ნახევარმარათონი“ ვაჟთა შორის ინგლელმა პოლ ევანსმა მოიგო — 1:01.44. ქალთა შორის უძლიერესი იყო ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, პორტუგალიელი როსა მოტა — — 1:09.58.

ფენომენალური რეკორდი

დონეცკი. აქ მიმდინარე ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებაში ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა სერგეი ბუბკამ. ამჯერად მან დასძლია 6 მეტრი და 11 სანტიმეტრი (საკმაოდ დიდი მარაგით).

ეს ბუბკას 23-ე მსოფლიო რეკორდია. საინტერესოა, რომ მან გააუმჯობესა ერთი კვირის წინ სანსებასტიანში დამყარებული რეკორდი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში

II ტურის შედეგები

„ოქროს ვერძი“ (ფოთი) — ვეტერანები 33:26

ვეტერანების თამაშმა ფოთელ მაყურებლებში სასიამოვნო მოგონებების სიხარული გამოიწვია. მასპინძლებმა თავიდანვე სწრაფი ტემპით თამაში შესთავაზეს ვეტერანებს და მათ მიიღეს ეს გამოწვევა. ისევ ბრწყინავდნენ თავიანთი ოსტატობით ჯ. ბარამიძე, ვ. ბერიაშვილი, ნ. მაჭარაძე, ა. ანპილოგოვი, ა. ტაბიძე... განსაკუთრებით შეუდარებელი იყო ვახტანგ ბერიაშვილის თამაში. როგორც ყოველთვის ა. ანპილოგოვს ჰერსონალურ მეურვეობას უწევდა მეტოქე, მეორე ტაიმში ფოთელებმა გ. თითბერიასა და ნ. მაჭარაძის მეშვეობით შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და ვეტერანების დამარცხება ზედიზედ მეორედ.

მაყურებლებმა და სპორტსმენებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქვევევან გაგულიას ხსოვნას, რომელმაც ფოთელებს პირველმა ჩაუნერგა ხელბურთის სიყვარული.

ზოოვეტერინალური ინსტიტუტი — თბილისის „მართვე“-II 33:24

სტუდენტები თავიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ მოსწავლეებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლა. სტუდენტებმა დაცვაში აქტიურობით მოახერხეს თამაშის თავიანთ სასარგებლოდ შემობრუნება. „მართვე“ დაცვაში წინ წამოწეული მცველით სცადა მდგომარეობის გამოსწორება — აღსანიშნავია მეკარე კონდრატიევისა და გელაშვილის კარგი თამაში. სტუდენტებმა მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ანგარიში უფრო გაზარდეს და გაიმარჯვეს.

„ოქროს ვერძი“ — ზოოვეტი 43:32

მეტოქეებმა უშეღავათო პაექრობა შეთავაზეს ერთმანეთს. უშეცდომოდ თამაშობდნენ მეკარეები სამადაშვილი და კენჭაძე. ფოთელებმა ნერვიულობის გამო ორი 7-მეტრიანი საჯარიმო ვერ გაიტანეს. სტუდენტები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მასპინძელთა გუნდს, სადაც გამოირჩეოდა კერესელიძე. მატჩის მიწურულს სტუდენტები შეურიგდნენ დამარცხებას. ფოთელთა მეკარე კენჭაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ამ გამარჯვებაში.

ვეტერანები — „მართვე“-II 29:17

„მართვე“-II-ის გუნდთან ტრავმის გამო ვერ თამაშობდნენ ვ. ბერიაშვილი და კეკელიძე. მიუხედავად საგრძნობი დანაკლისისა, ვეტერანებს არ გაეჭირვებიათ გამარჯვება. მათგან გამოირჩეოდნენ ტაბიძე და მეკარე ხუციშვილი, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. მოსწავლეებში ისევ გამოირჩეოდა კარგი თამაშით გელაშვილი.

„ოქროს ვერძი“ — „მართვე“-II 24:21

ფოთელთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა 3-4 ბურთის სხვაობით. დირიჟორის ფუნქცია შურღაიამ აიღო და წარმატებითაც. მართალია, „მართვე-II“ ზედიზედ მესამედ დამარცხდა, მაგრამ ადვილად არც ერთი თამაში არ დაუთმია და ბოლომდე იბრძოლა, რაც გუნდის პატივმოყვარეობაზე მიუთითებს.

ვეტერანები — ზოოვეტი 33:24

სტუდენტები დასაწყისშივე შეეცადნენ უპირატესობის მოპოვებას. შემდეგ ვეტერანებმა თამაშს სასურველი მიმართულება მისცეს. ამ მატჩში, ადრინდელი ტრავმის მიუხედავად, ბოლომდე იბრძოდა კეკელიძე, რომელმაც აიყოლია თანაგუნდელები. ვეტერანთაგან დაცვაში თავი გამოიჩინეს დოლიძემ და საყაიამ. თავდასხმაში შედეგიანი იყო კარტოზია. სტუდენტთა გუნდში ისევ კერესელიძე ყოჩაღობდა, რასაც ვერ ვიტყვით მის თანაგუნდელებზე.

II ტური. ქუთაისი

ქუთაისი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 24:32

ორივე გუნდმა თამაში შეცდომებით დაიწყო. სტუდენტებმა მალე გამოასწორეს - მდგომარეობა და მათი უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა. სტუდენტებმა ყველა ასპექტში დაჯაბნეს მეტოქე, სადაც სარდანაშვილი და განსაკუთრებით ხურციძე თამაშობდნენ ძლიერად.

ფიზიკულტურის ინსტიტუტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 33:30

ორივე გუნდი პოტენციური ფავორიტია. თამაში დაძაბული, უშეღავათო გამოდგა. ფი-ს ხელბურთელებმა დემეტრაშვილის, როგავას, თორდიას და ტერტერაშვილის კარგი თამაშის წყალობით შეძლეს უპირატესობის მიღწევა. მოწინააღმდეგე ბევრ შეცდომას უშვებდა დაცვაში თამაშისას. ფი-ს დაცვას უჭირდა უშვერიძისა და კალანდაძის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ მხოლოდ ორი ხელბურთელის აქტიურობა არ აღმოჩნდა საკმარისი და სსი-ს გუნდი დამარცხდა.

• • •

ფოთში ჩატარებულმა ტურმა ცხადჰყო, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაცია სწორ გზას დაადგა ეროვნული ჩემპიონატის ახლებურად ჩატარებით. სასიამოვნო და მისაბაძია, რომ ფოთელებმა ხელბურთის კლუბი ჩამოაყალიბეს და ჩემპიონატის ტურსაც უმასპინძლეს. ტურის საუკეთესო მოთამაშეებს და მონაწილე გუნდებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები. ტურის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდია ფოთის ხელბურთის კლუბის პრეზიდენტის ჯ. გურგენიძის, კლუბის ვიცე-პრეზიდენტის მ. ცომაიას დამსახურება. თუ საქართველოს ყველა ქალაქებში ასეთივე ყურადღება მიექცევა ხელბურთის განვითარებას, მაშინ თამამად შეიძლება ქართული ხელბურთის დიდ მომავალზე ოცნება.

სამწუხაროდ, ქუთაისში არ გამოცხადდა ბათუმის გუნდი, მიზეზი უცნობია. რატომ მოეკიდნენ ასეთი უპასუხისმგებლობით პირველ ეროვნულ ჩემპიონატს? ქუთაისში არ გამოცხადდნენ მსაჯებიც. ადგილობრივი მსაჯები რომ არა, ტურს დაშლა ემუქრებოდა. რას იტყვის მსაჯთა კოლეგია და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ხელბურთის განყოფილება? დეპარტამენტის მთავარი მწვრთნელი ვ. მურადოვი რატომღაც უყურადღებობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს ხელბურთში ეროვნული ჩემპიონატის მიმართ. ქუთაისში არის ხელბურთის მშვენიერი დარბაზი, რომელიც „სამთო ქიმიის“ სამმართველომ ააშენა. დარბაზში ახლა „წვიმს“, იატაკი დაშპალია და შეკეთებას საჭიროებს. საოცარია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით, ქუთაისელ ხელბურთელებს დარბაზში ყველაზე ნაკლებ დროს უთმობენ. ახლა აქ ხელბურთის კლუბი ყალიბდება და დარბაზი აუცილებლად უნდა გადაეცეს კლუბს. ქუთაისის ხელბურთის ენთუზიასტ მწვრთნელს ჯ. ხარაიძეს კი მხარში უნდა ამოუდგნენ ქალაქის სპორტის მესვეურნი.

პარალელურად თელავშიც ჩატარდა მეორე ტურის მატჩები. შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. მეტრეველი.

— სასიამოვნო ფაქტია, რომ ფოთის შემდეგ თელავში შეიქმნა ხელბურთის კლუბი. პრეზიდენტად აირჩიეს დ. ქეშიკაშვილი. კლუბს დიდ დახმარებას უწევს თელავის რაიონის პრეფექტი ა. რცხილაძე. საქმისადმი ასეთმა სერიოზულმა დამოკიდებულებამ უკვე შედეგი გამოიღო. თელაველებმა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს სძლიეს, მოუგეს აგრეთვე 30:29, „მართვე“-I 29:26. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა თავის მხრივ დაამარცხა „მართვე“-I 32:23.

სამწუხაროდ, თელავში არ გამოცხადდა სამტრედიის ხელბურთელთა გუნდი. ეს ფაქტი ხელბურთის ფედერაციის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

თამაზ საჯაია,
სპორტის ოსტატი, მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

ფოთი-ქუთაისი-თბილისი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი, I ტური

● 17 მარტი

„კახეთი“ (თელავი) — „ეგრისი“ (ხენაკი) 3:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: გ. ჭვრიტიძე, ზ. აფაქიძე-2 („კახეთი“).

„არაგვი“ (დუშეთი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლი: კ. ყორეიკაშვილი („მრეტები“).

მეტოქის ხელით დაშერისთვის გააფრთხილეს ზ. მოსიაშვილი („არაგვი“), მსაჯთან კამათისთვის კი გ. ქორიძე („მრეტები“).

„იმერეთი“ (ხონი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 0:1. მსაჯი: გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლი: გ. ხოსროშვილი (სტუ).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. ქაროსანიძე („იმერეთი“), მეტოქის კამათისთვის ზ. შეყრილაძე (სტუ).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:1. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა). გოლები: დ. იობაშვილი, ა. სევასტოპულო-3 („მაღაროელი“), ც. თიგიშვილი („ბახტრიონი“).

„ბაპაველა“ (თერჯოლა) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:0, მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი).

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ხიონი“ (ბოლნისი) 4:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ბ. გოგსაძე, ზ. თურმანიძე, ს. თურმანიძე-2 („ჩიხურა“), ი. მესხი („სიონი“). საჩხერელმა გ. მაკარაშვილმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

„შუქურა“ (ქობულეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი). გოლი: გ. გოგმაჩაძე („შუქურა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ა. მოსეშვილი („დურუჯი“), მსაჯთან კამათისთვის კი ხ. წუწუნავა („შუქურა“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. ცირდავა (გულრიფში). გოლი: ა. ტაბატაძე („ქართლი“).

განზრახ ხელით თამაშისთვის გაფრთხილეს ბ. მოქია (ფიზკ. ინსტ.).

„სქური“ (წალენჯიხა) — „ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). უხეში თამაშისთვის გაფრთხილეს ა. აბრალავა, დ. ჯოლოხავა (ორივე — „სქური“), სასტვენის შედეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის კი მ. ქვილითაია („სამეგრელო“).

ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

კენიის ფეხბურთის ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა ამ ქვეყანაში მომუშავე დანიელი მწვრთნელი ჯეკ ჯონსონი. ქვეყნის პირველობის ერთ-ერთი მატჩის დროს ჯ. ჯონსონი მოულოდნელად გამოვიდა მინდორზე და ლაზათიანი სილა გააწნა გვერდით მსაჯს.

ეს ინციდენტი მოხდა ჯ. ჯონსონის კლუბ „რეუნიონისა“ და „რივატექსის“ შეხვედრის დროს. თამაში ჩაიშალა.

ᲛᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ?

ეგვიპტეში გრძელდება კამათი ფეხბურთის ექსპერტებსა და გულშემატკივრებს შორის. ამის მიზეზია ამ ცოტა ხნის წინ ნაკრების მწვრთნელის მაჰმუდ ელ-გოჰარის გადადგომა, თუმცა, როგორც გახსოვთ, მას მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატში ურიგო გუნდი არ გამოუყვანია.

ძნელი გასარკვევია, ვინ არის მართალი. ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები ირწმუნვებიან, რომ მწვრთნელი გაათავისუფლეს პირადი განცხადებით, მაჰმუდ ელ-გოჰარი კი ირწმუნება, რომ არავითარი განცხადება არ დაუწერია.

13,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲘᲛᲐᲢᲐ

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, 1990-91 წლების საფეხბურთო ჩემპიონატში მაყურებელთა რაოდენობამ წინა ჩემპიონატთან შედარებით 13,8 პროცენტით იმატა. ამას ხსნიან ნაკრების კარგი გამოსვლით განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში და მისი ახლანდელი შედეგებითაც ევროპის პირველობაზე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ალბათ, ერთ-ერთი უძლიერესი

ლინარესის შემდეგ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ საჭადრაკო კალენდარი, მოგეხსენებათ, ძალიან გადატვირთულია, — იმართება უამრავი საერთაშორისო ასპარეზობა. მაგრამ მათ შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მსოფლიო თასზე“ გამართულ შეჯიბრებებს, მაინც უნდა გამოვყოთ რამდენიმე: ლინარესის, ბუგოინის, ამსტერდამისა და ტილბურგის სუპერტურნირები უძლიერესი დიდოსტატების მონაწილეობით. ასეთ „ბრწყინვალე შემადგენლობის“ პაექრობებში კი განცალკევებით დგას ლინარესის წლევანდელი ტურნირი, ალბათ, ერთ-ერთი უძლიერესი ჭადრაკის ისტორიაში. 14 დიდოსტატს შორის ხომ მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონობის 6 პრეტენდენტი იყო.

ვის შეეძლო ეფიქრა, რომ პირველივე ტური... ტურნირში გამარჯვებულს გამოავლენდა! როცა ვასილი ივანჩუკმა პირველ ტურში კასპაროვი დაამარცხა, ეს გარკვეულ მოულოდნელობად ჩაითვალა, მაგრამ თვლიდნენ, რომ რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონიც ადამიანია, ხანდახან ისიც აგებს ხოლმე. თანაც ცნობილია, რომ კასპაროვი შეჯიბრებას „მძიმედ“ იწყებს, შემდეგ თანდათანობით აუმჯობესებს თამაშს და...

ახლაც ზუსტად ასე მოხდა. 9 ქულა 13 შესაძლებლიდან, რომელიც კასპაროვმა მოაგროვა, უდავოდ საუცხოო მაჩვენებელია, მაგრამ რა მისი „ბრალია“, რომ სხვამ ოდნავ აჯობა. არც ის არის ახალი ამბავი, რომ მსოფლიო ჩემპიონი ყველგან პირველი ვერ იქნება — გავიხსენოთ თუნდაც ლასკერის, კაპაბლანკას, ალიოხინის არაერთი მაგალითი, და მაინც, მეორე ადგილი კასპაროვისათვის ერთობ უჩვეულოა. მას შემდეგ, რაც იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ერთთავად პირველ პრიზს ეპატრონება ან პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ყოველ შემთხვევაში, მეორე ადგილზე არასოდეს გასულა, ახლა კი, ეტყობა, საჭადრაკო სამყაროში რაღაც იცვლება.

9,5 ქულა ცამეტიდან, 6 მოგება და 7 ყაიმი, პირველი პრიზი (საუკეთესო ავტომობილი „ფოლკსვაგენი პოლი“) — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ლინარესში გამარჯვება ივანჩუკის პირველი სატურნირო წარმატება არ გახლავთ — იგი წარმატებით გამოდის ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობს, პირველი პრიზების საკმაოდ დიდი კოლექცია აქვს. მართალია, ლინარესში ივანჩუკს ზოგჯერ უმართლდება, მაგრამ მოჭადრაკეებს უყვართ ასეთი გამოთქმა: „უმართლებს, როგორც პირველ პრიზიორს“. ლიუბოევიჩთან სავსებით უიმედო პოზიცია რომ მიიღო, ივანჩუკმა იფიქრა, იფიქრა და მეტოქეს... ყაიმი შესთავაზა, იუგოსლავიელს ფიქრის დროც აღარ ჰქონდა, ისარი მის საჭადრაკო საათზე სადაცაა ჩამოვარდებოდა, ამიტომ ყაიმზე დათანხმება არჩია. მაგრამ იმავე ლიუბოევიჩთან მსოფლიო ჩემპიონი უეტლოდ იყო, ათასჯერ შეეძლო დანებებოდა მეტოქეს, მაგრამ ჯიუტად გაგრძელა თამაში და ბოლოს... მოიგო კიდეც! ხდება, ჭადრაკში ყველაფერი ხდება!

ვასილი ივანჩუკი დაიბადა 1969 წლის 18 მარტს. საერთაშორისო დიდოსტატია 1988 წლიდან, 1987 წელს ევროპის ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის, მომდევნო წელს კი ასეთივე შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გავიდა. ორჯერ თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატში ჭაბუკებს შორის, ორჯერვე მაღალი ადგილები დაიკავა. როგორც ცნობილია, იანვარში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მერვედფინალურ მატჩში პირდაპირ ფიშერისებური ანგარიშით — 4,5:0,5 მოუგო ლეონიდ იუდასინს, მეოთხედფინალში კი მეტისმეტ „კერკეტ კაკალს“ — არტურ იუსუპოვს უნდა შეხვედეს. ახლა ივანჩუკს მსოფლიოში მეოთხე მაჩვენებელი აქვს (კასპაროვის, კარპოვისა და გელფანდის შემდეგ). ივლისში, როცა ახალი „რანგ-ლისტი“ გამოქვეყნდება, 22 წლის ლვოველი უკვე მესამე იქნება. ერთადერთი მარცხი, რომელიც ივანჩუკმა ბოლო სამი წლის მანძილზე იგემა, ისაა, რომ მან „მსოფლიო თასზე“ თამაშის უფლება ვერ მოიპოვა. ზოგი ჰირი მარგებელიაო, ნათქვამია — მეტი დრო ექნება პრეტენდენტთა მატჩისთვის მოსამზადებლად.

მესამე ადგილი ალექსანდრ ბელიავსკის (8 ქულა) დარჩა. მან თითქმის მთელი ტურნირი ბრწყინვალედ წარმართა, მაგრამ ყველა პარტიის მოგებაზე თამაშმა, ბოლოს და ბოლოს, გადაღალა, ფინიშზე სამი პარტია წააგო. ინდოელმა ანანდმა ცალკეული პარტიები ძალიან კარგად ითამაშა, კერძოდ, მოუგო თავის მომავალ მეტოქეს პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში კარპოვს და, ყოველ შემთხვევაში, დაამტკიცა, რომ ესოდენ ძლიერ შეჯიბრებაში ღირსეულად გამოსვლა შეუძლია.

იყო მომენტი, როცა ანატოლი კარპოვი, თავისი 25-წლიანი სატურნირო პრაქტიკის მანძილზე ამდენი პირველი პრიზი რომ მოიპოვა, სულ ორიოდე მონაწილეს უსწრებდა. უკანასკნელი პარტიების მოგებით რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ 6,5 ქულა ცამეტიდან (59 პროცენტი) არ არის ის შედეგი, მოსკოველი დიდოსტატისგან რომ ელოდნენ. კარპოვი 40 წლისაა. ასეთ ასაკში პოზიციების ნაუცბადევად დათმობა, ცოტა არ იყოს, ნაადრევია. რა დაემართა მას ლინარესში, ყოველივე ეს შემთხვევითი იყო თუ ახალ-გაზრდების კონკურენციას ველარ უძლებს? ამაზე პასუხს ერთგვარად კარპოვ-ანანდის მატჩი გაგვცემს, რომელიც აგვისტოში დაიწყება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თუ ინდოელი დაამარცხა, კარპოვს ნახევარფინალში სხვას, უფრო ძლიერ მეტოქესთან მოუწევს შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ კასპაროვ-კარპოვის „დუუმვირატის“ დასასრულზე, რომელიც თითქმის 10 წლის მანძილზე მართავდა საჭადრაკო სამყაროს, ამჟამად დავაში სხვა ძალებიც ერევიან.

16 წლის გატა კამსკიმ 2,5 ქულით ბოლო ადგილი დაიკავა. ცხადია, ლაპარაკი „მესამე დიდკ“-ზე შეწყდება, (შეიძლება, დროებით). აშკარაა, ამ დროისთვის გატას არ ძალუძს მსოფლიო უძლიერეს მოჭადრაკეებთან ბრძოლა, თუმცა, სჯობს, ნუ ვიჩქარებთ.

ლინარესის სუპერტურნირი უკვე ისტორიის კუთვნილებაა: იგი სრული უფლებით გაუტოლდება ჰასტინგსის (1985), პეტერბურგის (1914), ავროს“ (1938) და გრონინგენის (1946) მართლაც რომ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტურნირებს.

ᲖᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ „ᲛᲝᲭᲘᲠᲐᲕᲜᲔᲔᲑᲘ“?

იტალიაში, როგორც ცნობილია, მრავალი უცხოელი ფეხბურთელი გამოდის. როგორია მათი მიღწევები დღეისათვის?

ყოველი მატჩის შემდეგ, თითოეულ მოთამაშეს ნიშნებს უწერენ. თუ ამ ნიშნების მიხედვით ვიმსჯეთხოვა ნაკრებს და თამაშობდა საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ორლეანში“.

ლებთ, „ტორინო“ ძალიან კმაყოფილია ესპანეთის ნაკრების ცნობილი მოთამაშით მარტინ ვასკესით, რომელიც პირველი სეზონია, რაც იტალიაში გამოდის. კარგად შეეგუა იტალიურ ლიგას გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი თომას ჰესლერი (ტურინის „იუვენტუსი“), მაღალ შეფასებებს იმსახურებს ალექსი მიხაილიჩენკოც (გენუის „სამპდორია“), რომელიც ვიალისთან, მანჩინისა და კატანეცთან ერთად გუნდის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

საინტერესოა, რომ იტალიელი მწვრთნელები მაინცდამაინც არ ანებივრებენ არც ლოთარ მათეუსს („ინტერი“), არც მარკო ვან ბასტენს, არც რუუდ გულიტს („ილანი“) და არც მარადონას („ნაპოლი“).

როგორც იუგოსლავიური გაზეთები წერენ, ურიგოდ არ თამაშობენ დავორ იოჟიჩი („ჩეზანა“) და განსაკუთრებით სრეჩკო კატანეცი („სამპდორია“).

რაც შეეხება „ლეჩეში“ მოთამაშე სერგეი ალეინიკოვს, იგი თავის ახალ გუნდში არაფრით გამოირჩევა.

„ᲛᲘᲚᲐᲜᲘ“ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲐ

ლონდონელი ბუკმეკერები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მთავარ ფავორიტად „მილანს“ თვლიან. მეორე ადგილზეა შიუნტენის „ბაიერნი“.

რა ეშველება „ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲡ“?

იტალიის ექსჩემპიონი „ბოლონია“ ახლა სრულიად უფერულ გუნდად იქცა, მას ვერაფერი უშველა 1990 წლის ზაფხულში სამი უცხოელი ფეხბურთელის — გერმანელი ვაასის, ბულგარელი ილიევისა და უნგრელი დეტარის ყიდვამ. ამიტომ, კლუბის ემისრები მთელ ევროპაში ეძებენ ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც შეუძლიათ მდგომარეობის გამოსწორება. ასეთებად მიიჩნევენ ნახევარმცველებს ვინტერს (გერმანია), დეგროსს (ბელგია) და თავდამსხმელ პანჩევს (იუგოსლავია).

ᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ...

ᲓᲦᲔᲡ დიდი ტურნირებით ჭიდაობის მოყვარულთ ვერ გააკვირვებ, მაგრამ კასპში გამართულმა ჭაბუკ სამბისტთა რესპუბლიკურმა პირველობამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. საკმარისია ითქვას, რომ საჭიდაო ხალიჩაზე 18 გუნდის 300-მდე სპორტსმენი გამოდიოდა.

ასპარეზობაში რამდენიმე ტიტულოვანი სპორტსმენიც მონაწილეობდა, რომელთა შორის იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში, კასპელი ივანე გამხიტაშვილი (79 კგ). ცხადია, მან თავის წონაში პირველობა არავის დაუთმო. ძლიერად იასპარეზა ქარელელმა კობა გულიაშვილმაც (65 კგ) — იგი ერთხმად აღიარეს ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ. ამჯერად თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, ქუთაისელი ლევან ალფაიძე (60 კგ) და საქართველოს ჩემპიონი, კასპელი გოგიტა ხუციშვილი (75 კგ). ქუთაისელი მოჭიდავე მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო კასპელი საერთოდ ვერ მოხვდა პრიზიორთა შორის.

შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილისთვის დაწესებული პრიზი გადასცეს 16 წლის ბაჩუკი პაპინაშვილს (45 კგ). საგარეჯოელმა ზურაბ ალექსიშვილმა (75 კგ), რომელიც თავდაპირველად ნახევარფინალურ და ფინალურ ორთაბრძოლებს აგებდა, საბოლოოდ კი მაინც გაიმარჯვა, მოიპოვა სპეციალური პრიზი „გამარჯვებისკენ სწრაფვისათვის“. პრიზს „ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის“ დაეუფლა ქუთაისელი გია გოჩელაშვილი (52 კგ), რომელმაც შვიდი შეხვედრიდან წმინდად მოიგო ხუთი, მათ შორის ფინალური ორთაბრძოლაც თბილისელ ლევან ედიშერაშვილთან.

გთავაზობთ გამარჯვებულთა სრულ „ნუსხასაც“: 45 კგ — ბაჩუკი პაპინაშვილი, 48 კგ. — გია უკუპეიშვილი (ორივე — „შევარდენი“, კასპი), 52 კგ — გია გოჩელაშვილი („შევარდენი“, ქუთაისი), 56 კგ — თემურ ოდიშვილი („დინამო“, თბილისი), 60 კგ — ხვიჩა კურდღელაშვილი („შევარდენი“, საგარეჯო), 65 კგ — კობა გულიაშვილი („შევარდენი“, ქარელი), 70 კგ — ლევან ალესაძე („შევარდენი“, გორი), 75 კგ — ზურაბ ალექსიშვილი („შევარდენი“, საგარეჯო), 81 კგ — კახა პეტრიაშვილი („შევარდენი“, რუსთავი), 87 კგ — ნიკოლოზ მუხიგულაშვილი, 97 კგ — ივანე გამხიტაშვილი, მძიმე — ჯამბულ ქმახაძე (სამივე — „შევარდენი“, კასპი).

ᲠᲐᲛᲘᲜ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ვ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲚᲘ.



უფრო დაწვრილებით

ლას-ვეგასი ნევადის უდაბნოში ჩაკარგული მარგალიტია და გართობის ინდუსტრიის საქვეყნოდ აღიარებული ცენტრი. ეს ქალაქი კარგად აქვს დაცდილი მაიკ ტაისონს. აი, დონოვან რადოკისთვის კი სულ ერთი იყო სად შეხვდებოდა ექსჩემპიონს, ამერიკის შეერთებული შტატების რომელ ქალაქში მოუწევდა გამოსვლა. კანადაში ბრძოლაზე, ცხადია, არ იტყოდა უარს, ვინაიდან იქ გაცილებით მეტი გულშემატკივარი ეყოლებოდა. მაგრამ პროფესიული კრივის ასოციაცია ასეთ დათმობებზე არ მიდის ხოლმე. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შეხვედრებს იგი ატარებს იქ, სადაც შემოსავალი გარანტირებული აქვს.

ლას-ვეგასი ამ მხრივ იდეალური კანდიდატურა იყო, თავისი ფეერენებელური სასტუმროებით, რესტორნებით, კაზინოებით და სხვა სახის სათამაშო სახლებით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სასტუმროს („მირაჟის") კონფერენც-დარბაზში მოეწყო გიგანტური არენა მაიკ ტაისონისა და დონოვან რადოკის მატჩისთვის. ტაისონმა, მას შემდეგ, რაც დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ძლივს მოიპოვა ამ, თავისებურ ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება. ნახევარფინალურს ვამბობთ იმიტომ, რომ ლას-ვეგასში გამარჯვებული მოკრივე მომავალში უკვე მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლის უფლებას მიიღებდა.

ერთი სიტყვით, ორშაბათს ღამე „მირაჟის" სარბიელზე პროფესიული კრივის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა წყდებოდა და ამ შემთხვევის გამო ლას-ვეგასში კანადიდან გულშემატკივართა მთელი არმია ჩამოვიდა რადოკის ექსპანსიური მენეჯერის მურად მუჰამედის ხელმძღვანელობით. მატჩის არბიტრად მიიწვიეს პროფესიული კრივის ერთ-ერთი ავტორიტეტული სპეციალისტი რიჩარდ სტილი.

პირველი რაუნდი. მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა, თუმცა რაუნდის ბოლოს მაინც გამოიკვეთა ტაისონის უპირატესობა. ეს აღინიშნა სამსაჯო ბარათებშიც, რომლებსაც არბიტრები აბარებდნენ ყიურის ყოველი რაუნდის დამთავრების შემდეგ.

მეორე რაუნდი. ტაისონი უფრო სწრაფად მოძრაობს რინგზე, უფრო ძლიერადაც ურტყამს მეტოქეს. ერთ-ერთი ასეთი დარტყმის დროს არბიტრმა გაჩსნა ანგარიში. ეს ნოკდაუნს ნიშნავს.

მესამე რაუნდი. რადოკი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ნოკდაუნში. ტაისონი ბრწყინვალედ ფლობს ახლო ბრძოლის ურთულეს ტექნიკას.

მეოთხე და მეხუთე რაუნდები. არაფერი შეცვლილა არსებითად. ინიციატივას კვლავ ტაისონი ფლობს. რადოკის დარტყმები იშვიათად აღწევენ მიზანს.

მეექვსე რაუნდი. შესამჩნევად გააქტიურდა კანადელი, რომელმაც სამი ლიერი დარტყმა მიაყენა ტაისონს...

მეშვიდე რაუნდი. ამერიკელი მოკრივე მოვლენების ფორსირებას ცდილობს და ტემპიან შეტევაზე გადადის. რაუნდის დამთავრებამდე 38 წამით ადრე ტაისონის უძლიერესი მარჯვენა ჰუკი აღწევს მიზანს. რიჩარდ სტილი ყესტით წყვეტს ბრძოლას და გამარჯვებას ანიჭებს ტაისონს ტექნიკური ნოკაუტით.

რადოკის „გუნდი" არბიტრის ამ, ერთი შეხედვით საეჭვო გადაწყვეტილებას, ცხადია არ დაეთანხმა. მან პროტესტი განაცხადა და სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა.

ალექსანდრე კოტორაშვილის
რეპორტაჟი



ვასტანგ აბულაძე

გარდაიცვალა ხაქართველოს ხუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და ხპორტის კათედრის გამგე, ფიზიკური კულტურისა და ხპორტის დამსახურებული მუშაკი, შრომისა და ხპორტის ვეტერანი ვახტანგ ალექსანდრეს ძე აბულაძე. 16 წლის უმაწვილი 1944 წელს, ხკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქუთაისში უმალვე ხახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხაბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შედის და 1948 წელს ამთავრებს. 1952 წელს კი ამავე ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და ხპორტის ფაკულტეტიც დაამთავრა.

50-იანი წლების დასაწყისში ვ. აბულაძე ხაქართველოს ჩემპიონი იყო ხპორტულ ტანვარჯიშში. მუშაობდა ჯერ „დინამოს", შემდეგ „ხპარტაკის" ქუთაისის ხაქალაქო ხაბჭოს ინსტრუქტორად, პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლად. 1953 წლიდან ხაქართველოს ხუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდისა და ხპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელია, 1954 წლიდან გარდაცვალებამდე კათედრის გამგე იყო. უნარიანმა მუშაკმა ბევრი რამ გააკეთა ინსტიტუტის ხპორტული ბაზის შეხაქმნელად, ხტუდენტთა ხპორტული დოხტატებისათვის. ინსტიტუტის წარგზავნილებს არაერთხელ უხახელებიათ თავი მხოფლიოს; ოლიმპიურ, ხაკავშირო თუ რეხპუბლიკურ შეჯიბრებებში, რისთვისაც ვ. აბულაძეს მრავალჯერ დაუმსახურებია მადლობა. მას უაღრესად დიდ პატივს ხცემდნენ ხპეციალისტები, მათ შორის უცხოელები.

წავიდა ჩვენგან შეხანიშნავი მოჭალაქე, შაღალკვალიფიციურიკ ხპეციალისტი, ახალგაზრდობის გულიხხმიერი აღმზრდელი, უაღრესად კეთილშობილი და ალალმართალი კაცი, ხპორტის დარგში უმაღლესი ხკოლის მუშაობის თვალხაჩინო ორგანიზატორი.

მისი ხსოვნა ხამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ამხანაგების ჯგუფი
ხპორტის ვეტერანთა რეხპუბლიკური ყაბჭო

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

ავლაბრის ხტადიონი
(ბოჟორმის ქ. № 18)

21 მარტი
ფეხბურთი
ხაქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
(I ჯგუფი)
„მრეტები" (თბილისი) — „ხიხარული-90" (გაგრა)
დასაწყისი 15 საათზე.

26 მაისის ხახელობის ხტადიონი

21 მარტი
ფეხბურთი
ხაქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
(II ჯგუფი)
„მერანი" (თბილისი) — „თოხი" (ბორჯომი)
დასაწყისი 15 საათზე.

„ხპორტბანკის ბანოზი"

ბაერთი. ეგა „სოიუზსპორტლოტომ" შეადგინა „ხპორტპროგნოზის" ხპეციალური „1-C" ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.551.796 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (17) მოგება 3.042 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (278) — 744.

საქართველოში: დაშვებულია 88.702 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11—5.

„1-C" ხპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 30 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით.

22-24 მარტს თბილისის ხპორტის ხასახლეში გაიმართება მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ა. კოკნაძის ხახელობის თასზე. მონაწილეობენ: საფრანგეთის, გერმანიის, ფინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, იტალიის, შვეიცარიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 11 და 17 საათზე. ბილეთები იყიდება ხპორტის ხასახლის სალაროებში.

„ლელოს" დღეგანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008 თბილისი, ს. კოტეგის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„წერანი" — 98-97-26, „ზარავა" — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

ხაქართველოს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის „ხიმშილის" ტალღა. 380008, თბილისი, ს. კოტეგის, 14. ანგარიშსწორებული ფასიანი წერილი, ხაგაზეთი კორპუსში, ხიშარულის, 28.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20